ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032302082-03
თარიღი: 20.01.2023 13:37
ვადა: 20.02.2023

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01230201309 განცხადების თარიღი: 20.01.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 18 იანვრის N23.43.52 განკარგულებით მოწონებული მთავრობა საკრებულოში გადასაგზავნი

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032302082-03
20.01.2023 : 13:37
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01230201309**
თარიღი: **20/01/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი N0122361217-67; N01223071835-67; N01221471009-67; N01223541741-67; N01223532879-67; N01223491354-67 (0123011553-67); N01223343502-67 (01230122593-67); N01223323716-67 განცხადებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2023 წლის 18 იანვრის N23.43.52 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის N23.43.52 განკარგულება- 8 ფურცელი;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 11 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბ

არათი - 11 ფურცელი;

4. მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტი სულ - 24 ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 23.43.52**
**18 / იანვარი / 2023 წ.**

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2022 წლის 27 დეკემბრის N0122361217-67 განცხადებით შავლეგი ტალახაძემ (პ/ნ 38001044547) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ბ) 2022 წლის 3 ნოემბრის N01223071835-67 განცხადებით პაატა გუგუშვილმა (პ/ნ 01017000220) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

გ) 2022 წლის 27 მაისის N01221471009-67 განცხადებით რამიზ კარაევმა (პ/ნ 01015015382) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

დ) 2022 წლის 20 დეკემბრის N01223541741-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

ე) 2022 წლის 19 დეკემბრის N01223532879-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის II ჩიხი N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) 2022 წლის 15 დეკემბრის N01223491354-67 (0123011553-67) განცხადებით ლეო გაბრიაძემ (პ/ნ 01024018824) მოითხოვა ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N13/ქალაქი თბილისი, შავთელის ქუჩა N13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ზ) 2022 წლის 30 ნოემბრის N01223343502-67 (01230122593-67) განცხადებით ელისო ელისაშვილმა (პ/ნ 01025006529) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.094.004) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) 2022 წლის 28 ნოემბრის N01223323716-67 განცხადებით ნიკოლოზ გოგეშვილმა (პ/ნ 01011076175) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.171.013; N01.20.01.171.011-ის ნაწილი) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება;

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 13 იანვრის N01230132452 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის N01230171676 წერილის შესაბამისად, განსახილველი მიწის ნაკვეთის სამხრეთ მიჯნაზე ფიქსირდება შპს „საქართველოს მელიორაციის" (204524568) სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთული მონაკვეთი, რომლისთვისაც მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, არ იარსებებს კავშირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება არ არის მიზანშეწონილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს სასტუმრო კომპლექსის განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 იანვრის N01230132617 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 6 დეკემბრის N61-01223404377 წერილის შესაბამისად, N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, წარმოადგენს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ განკარგულ ქონებას, შესაბამისად, სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იმ პირობით, რომ დაინტერესებული მხარე დაფარავს ფუნქციური

ზონის ცვლილებითა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის არსებულ სხვაობას, რომელიც დადგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში, ხარვეზის სახით, N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) და მიმდებარედ არსებული N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია, ფასთა შორის არსებული სხვაობის გადახდის პირობით;

გ) ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილების არეალს მოიცავს N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებს და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიას.

ზემოაღნიშნულ არეალზე, სატყეო ზონის (1354კვ.მ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) (103კვ.მ) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) (9კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) (1202კვ.მ), სატყეო ზონითა (100კვ.მ) და სატრანსპორტო ზონა 1 -ით (ტზ-1) (164კვ.მ) ცვლილების ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 დეკემბრის N18-01223612453 წერილით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების 2023 წლის 18 იანვრის N01221471009-67 წერილის შესაბამისად, მოთხოვილი ცვლილებით ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, აგრეთვე, მოთხოვნილი ზონის ცვლილება შესაბამისობაშია N01.18.04.018.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 დეკემბრის N60-01223541523 წერილის შესაბამისად, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N40 15.12.2022წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) მიმდებარე არეალზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3- ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1), საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სატყეო ზონით ცვლილების და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე ასევე, N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 28 დეკემბრის N012236297 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2022 წლის 29 დეკემბრის N0122363359 წერილის შესაბამისად, თანახმაა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ხოლო, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე გზაზე გავრცელებული სატრანსპორტო ქვეზონის პარამეტრის შენარჩუნების მიზნით, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ზონის ცვლილების შემდგომ წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, N01.17.02.001.041 და N01.17.02.001.040 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 2-ისა (ტზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება, ასევე, N01.17.02.001.041 და N01.17.02.001.040 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 2-ისა (ტზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ე) ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის II ჩიხი N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს N01.19.18.003.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვას შემდგომში სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) განვითრების მიზნობრიობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპოტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სამრეწველო ზონა 2 (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) იცვლება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის II ჩიხი N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N13/ქალაქი თბილისი, შავთელის ქუჩა N13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს არსებული შენობის, მარიონეტების თეატრის, რეკონსტრუქცია წარმოადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 26 დეკემბრის N012235870 წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონა ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე. შესაბამისად, მოცემულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია ან/და აღნიშნული ფუნქციით განვითარების პერსპექტივა.

ვინაიდან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით

დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ექცევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად, 2022 წლის 15 დეკემბრის N01223491354-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2022 წლის 22 დეკემბრის N41 ოქმი), ქ. თბილისში, იოანე შავთელის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) - ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ2) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, იოანე შავთელის ქუჩა N13/ქალაქი თბილისი, შავთელის ქუჩა N13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქ.N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.094.004) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.12.14.094.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 18 იანვრის N0123018779 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერაქტიული რუკის მონაცემებისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

საქართველო, თბილისი, 0160, გ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.094.004) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.171.013; N01.20.01.171.011-ის ნაწილი) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 23 დეკემბრის N01223571362 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.171.013; N01.20.01.171.011-ის ნაწილი) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია. ცლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) და მიმდებარედ არსებული, N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა, **ფასთა შორის არსებული სხვაობის გადახდის პირობით;**

გ) ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე ასევე, N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე

სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სატყეო ზონითა და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება, ასევე, N01.17.02.001.041 და N01.17.02.001.040 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 2-ისა (ტზ-2) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

ე) ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის II ჩიხი N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებლ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N13/ქალაქი თბილისი, შავთელის ქუჩა N13-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ზ) ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.094.004) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.171.013; N01.20.01.171.011-ის ნაწილი) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება. ცლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2022 წლის 27 დეკემბრის N0122361217-67 განცხადებით შავლეგი ტალახაძემ (პ/ნ:38001044547) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ბ) 2022 წლის 3 ნოემბრის N01223071835-67 განცხადებით პაატა გუგუშვილმა (პ/ნ:01017000220) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

გ) 2022 წლის 27 მაისის N01221471009-67 განცხადებით რამიზ კარაევმა (პ/ნ: 01015015382) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

დ) 2022 წლის 20 დეკემბრის N01223541741-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.001.680) სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2), სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

ე) 2022 წლის 19 დეკემბრის N01223532879-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის II ჩიხი, N10-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.028) სამრეწველო ზონა 2-ის (ს-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) 2022 წლის 15 დეკემბრის N01223491354-67 (0123011553-67) განცხადებით ლეო გაბრიაძემ (პ/ნ:01024018824) მოითხოვა ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N13/ქალაქი თბილისი, შავთელის ქუჩა N13-ის

მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.024) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ზ) 2022 წლის 30 ნოემბრის N01223343502-67 (01230122593-67) განცხადებით ელისო ელისაშვილმა (პ/ნ:01025006529) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.094.004) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

თ) 2022 წლის 28 ნოემბრის N01223323716-67 განცხადებით ნიკოლოზ გოგეშვილმა (პ/ნ: 01011076175) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.171.013; N01.20.01.171.011-ის ნაწილი) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება;

**საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:**

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 13 იანვრის N01230132452 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის N01230171676 წერილის შესაბამისად განსახილველი მიწის ნაკვეთის სამხრეთ მიჯნაზე ფიქსირდება შპს „საქართველოს მელიორაციის“ (204524568) სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთული მონაკვეთი, რომლისთვისაც მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, არ იარსებებს კავშირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება არ არის მიზანშეწონილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.312.003) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნობრიობას წარმოადგენს სასტუმრო კომპლექსის განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 13 იანვრის N01230132617 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 6 დეკემბრის N61-01223404377 წერილის შესაბამისად N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, წარმოადგენს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ განკარგულ ქონებას, შესაბამისად, ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი N01.12.02.007.050 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იმ პირობით, რომ დაინტერესებული მხარე დაფარავს ფუნქციური ზონის ცვლილებითა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნით განპირობებულ ფასთა შორის არსებულ სხვაობას, რომელიც დადგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში, ხარვეზის სახით N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით ნიშნიანიძის ქუჩა N33ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.02.007.050) და მიმდებარედ არსებული N01.12.02.007.015 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია **ფასთა შორის არსებული სხვაობის გადახდის პირობით;**

გ) ქალაქ თბილისში, გერცელ ბააზოვის ქუჩა 21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.018.065) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილების არეალს მოიცავს N01.18.04.018.069; N01.18.04.018.025; N01.18.04.018.014; N01.18.04.018.088, N01.18.04.018.066, N01.18.04.018.035, N01.18.04.018.019, N01.18.04.018.072, N01.18.04.018.012, N01.18.04.018.085, N01.18.04.018.067, N01.18.04.016.068, N01.18.04.016.013, N01.18.04.016.034, N01.18.04.016.044, N01.18.04.016.058, N01.18.04.016.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია.

ზემოაღნიშნულ არეალზე, სატყეო ზონის (1354კვ.მ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) (103კვ.მ) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) (9კვ.მ) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) (1202კვ.მ), სატყეო ზონითა (100კვ.მ) და სატრანსპორტო ზონა 1 -ით (ტზ-1) (164კვ.მ) ცვლილების ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნის საკითხთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2022 წლის 27 დეკემბრის N18-01223612453 წერილით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების 2023 წლის 18 იანვრის N01221471009-67 წერილის შესაბამისად, მოთხოვილი ცვლილებით ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, აგრეთვე, მოთხოვნილი ზონის ცვლილება შესაბამისობაშია N01.18.04.018.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.

